ქეთევან ახობაძე

„რუსეთის ქცევის წყაროები (1992-2021)“

რეცენზია ზურაბ აბაშიძის წიგნზე

ზურაბ აბაშიძის წიგნი **„რუსეთის ქცევის წყაროები (1992-2021)“**, თბილისი, 2025, (136 გვ.) ორენოვანი ნაშრომია. რედაქტორები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები: რევაზ გაჩეჩილაძე და ვაჟა ლორთქიფანიძე, რეცენზენტები: ირაკლი მენაღარიშვილი, ივლიანე ხაინდრავა, ვახტანგ მაისაია (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი), გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიამ (ISBN 978-99928-20-53-7) - **ეძღვნება თანამედროვე რუსეთის პოლიტიკას** საბჭოთა კავშირის დაშლიდან, 2022 წლის უკრაინასთან ომის დაწყებამდე.

წიგნის სტრუქტურა შემდეგნაირადაა აგებული: შესავლისა და ოთხი თავისგან შედგება, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

1. თავი - „რუსეთი 1990-იან წლებში (1992-1999)“;

2.თავი მეორე - „ვლადიმირ პუტინის რუსეთი (2000-2012)“;

3.თავი მესამე - „რუსეთი კვლავ ფეხზე დგება (2012-2018);

4.თავი მეოთხე - „ქარიშხლის მოლოდინში (2018-2021).

ვიდრე წიგნის ანალიზზე გადავალთ, მიმაჩნია, რომ თავად ავტორზე თუნდაც მოკლედ უნდა ითქვას.

ზურაბ აბაშიძის დიპლომატიური მემკვიდრეობა მრავალფეროვანია. იყო პირველი ელჩი დასავლეთში, კერძოდ ესპანეთში (1984-1988) და ინდოეთში (1978-1980). ის ქართველი დიპლომატია, რომელიც 1992-2021 წლებში მნიშვნელოვანი როლით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით, ბენელუქსის ქვეყნებში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩობისას და ასევე, როცა საქართველოს მისიებს ხელმძღვანელობდა ევროკავშირთან და ნატოსთან (1993-2000). აღსანიშნავია მისი რუსეთის ფედერაციაში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე მოღვაწეობა (2000-2004) და ისიც, როცა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალურ წარმომადგენლად მუშაობდა (2012-2024). ზურაბ აბაშიძე „პრაღის ფორმატის“ შეხვედრების ინიციატორიც და მონაწილეც იყო, სადაც პრაქტიკული საკითხები განიხილებოდა: ეკონომიკა, ჰუმანიტარული თემები და სხვ.

იგი, პარალელურად, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. აღსანიშნავია, რომ ზურაბ აბაშიძე ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერი რედაქციის მთავარი რედაქტორია და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ექსპერტების და საზოგადების დიდი ნაწილი მას როგორც „კლასიკურ“ დიპლომატს ისე აფასებს, რომელსაც თავაზიანობა, აკადემიურობა, მშვიდი და გაწონასწორებული ხასიათი გააჩნია.

ჩვენს მიერ განსახილველ წიგნს წინ უსწრებდა 2021 წელს გამოცემული მონოგრაფია - „ცივი ომი - მოგზაურობა დღევანდელ წარსულში“ (აბაშიძე, 2001), რომლის ერთგვარ შეჯამებას თუ გავაკეთებთ, მთავარი აზ-

რი შემდეგშია: „ცივი ომი არ დასრულებულა, უბრალოდ „ვირუსივით მუტაცია განიცადა და ახალი „გლობალური შტამის“ სახით დაუბრუნდა კაცობრიობას“(imedinews.ge+2lit.ge+2akti.ge+2.).

სარეცენზიო წიგნი **„რუსეთის ქცევის წყაროები** (1992-2021)“, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, მნიშვნელოვან ინტელექტუალურ რესურს წარმოადგენს. ზურაბ აბაშიძე როგორც პროფესიონალი დიპლომატი, საერთაშორისო პოლიტიკაში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, 1992-2021 წლების საგარეო პოლიტიკას და მის ევოლუციას მიმოიხილავს.

მკვლევარმა სკრუპულოზურად შეისწავლა ეს პრობლემატიკა, რამაც საკუთარი აზრის დამკვიდრების საშუალება მისცა.

წიგნის **პირველ თავში** „რუსეთი 1990-იან წლებში (1992-1999)“ - რუსეთისათვის ურთულესი თანამედროვე პერიოდია განხილული და ავტორი, ისტორიულ რაკურსში აჩვენებს იმ გზას, თუ როგორ მივიდა რუსეთის სახელმწიფო 1990-იან წლებამდე და რა საგარეო და საშინაო პოლიტიკის გამტარებელი იყო. წიგნში, ნატოს ჩამოყალიბება (1949), დასავლეთ ევროპისათვის უსაფრთხოების „ქოლგის“ შექმნა, „ცივი ომის“ პერიოდი და სხვა უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტორები გაანალიზებული და შეფასებულია დრო-სივრცულ რაკურსში.

როგორც ცნობილია **ცივი ომი** - ეს გლობალური და იდეოლოგიური დაპირისპირების პერიოდია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე დაიწყო (1945) და 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა. იგი ორ გლობალურ ბლოკს შორის მიმდინარეობდა: **დასავლურ ბლოკს** აშშ ხელმძღვანელობდა, რომლის მოკავშირეებად ნატოს წევრი ქვეყნები, და სხვა სახელმწიფოები მოიაზრებოდა. **აღმოსავლურ ბლოკს** საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობდა. მისი მთავარი მოკავშირეები იყვნენ - ვარშავის პაქტის წევრი სახელმწიფოები.

მოგეხსენებათ, ორ ზესახელმწიფოს შორის პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი ეს არ იყო, მაგრამ მას თან ახლდა რეგიონული კონფლიქტები და ომები, მაგალითად, კორეის, ვიეტნამის, ავღანეთის ომი... ამ ორ ბანაკს შორის ბრძოლას ეკონომიკური, ტექნოლოგიური ხასიათიც ჰქონდა, გავლენის სფეროების გაფართოების გზით, განსაკუთრებით, ბირთვული იარაღის სფეროში და სხვ.

მიიჩნევა, რომ ცივ ომში დასავლურმა ბლოკმა გაიმარჯვა. საბჭოთა რეჟიმი კოლაფსით დასრულდა და ბევრი კომუნისტური ქვეყნის ტერიტორიაზე დემოკრატიული სახელმწიფოები დამკვიდრდა (Gaddis, 2005).

დელიკატური საკითხია 1990-იან წლებში რუსეთის დასავლეთის მიმართ დამოკიდებულება: პოსტ-საბჭოთა რუსეთი, თავიდან, დასავლეთთან ინტეგრაციას მოითხოვდა, მაგრამ გარკვეული პირობებით. რიგმა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა კი საფუძველი ჩაუყარა მის, მომდევნო წლებში, ანტიდასავლურ ქმედებებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, **ბორის ელცინის მმართველობის პერიოდში** (1991–1999), როდესაც უარი ეთქვა კომუნისტურ იდეოლოგიას, რუსეთი დასავლეთთან დაახლოებას ცდილობდა: ჯერ დასავლურ პო-

ლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზით (მაგ., G7-ის გაფართოება G8-ად), შემდეგ - ინტეგრაციით მსოფლიო ეკონომიკაში (სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი); თავდაპირველად, დასავლეთმა რუსეთი „თანასწორ პარტნიორად" აღიარა და რეფორმების გადასატარებლად მან მხარდაჭერაც მიიღო. მაგრამ მოსკოვი მოითხოვდა ნატოს გაფართოების შეჩერებას აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით. რუსეთი პირდაპირ საფრთხედ აღიქვამდა ნატოს ინტერესებს და პოლიტიკას ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მიმართ. 1997 წელს ბორის ელცინმა ამ პროცესის შეფასებისას ღიად დააფიქსირა ქვეყნის პოზიცია: ჩვენ ნატოს წინააღმდეგ არ ვართ, მაგრამ მის გაფართოებას როგორც უსაფრთხოების არქიტექტურის დესტაბილიზაციას ისე ვუყურებთო.

რუსეთი დასავლეთის დახმარებას მიესალმებოდა, მაგრამ მოითხოვდა მისგან, რომ შიდა პოლიტიკაში არ ჩარეულიყო, განსაკუთრებით, ჩეჩნეთის ომის დროს. მათი მთავარი სურვილი იყო, დასავლეთს ეღიარებინა, რომ **რუსეთი „ცივი ომში" არ დამარცხებულა, არამედ ის პარტნიორია - ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის შექმნაში.**

წიგნის პირველივე თავში, თუ რა დაკარგა **რუსეთმა სსრკ-ს დაშლის შემდეგ**, ამას შესანიშნავად აღწერს და აანალიზებს ზურაბ აბაშიძე: **სამხრეთ კავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა,** ბალტიის რეგიონის და შუა აზიის დაკარგვა, შავ ზღვაზე გავლენის შესუსტება და ა.შ.

მსოფლიოში, 1990-იანი წლებისთვის უკვე დარღვეული ბალანსის გამო, რომელსაც ფინანსური კრიზისიც დაემატა (1998), ამ ფონზე, ეკონიმიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის და დასავლური ღირებულებების გაძლიერების შიში ჰქონდა.

დასავლეთის მკვლევრების თვალსაზრისით, 1990-იან წლებში, დასავლეთმა უსაფრთხოების გარანტიები არ უზრუნველყო, რამაც რუსეთის რადიკალიზაცია განაპირობა (Mankoff, 2009: 1–25.). ზურაბ აბაშიძის წიგნში სამაგალითოდაა განხილული ამერიკელი დიპლომატის ჯორჯ კენანის შეხედულებები, რომელიც საკმაოდ საფუძვლიანად აღწერს და საუბრობს „რუსეთში ანტიდასავლური განწყობების ისტორიულ გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით", რომლებიც „დღემდე საკმაოდ რელევანტურია" (აბაშიძე, 2001:49).

ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის როლი **კოსოვოს** კონფლიქტში (Judah, 2008). უნდა აღინიშნოს, რომ ის განსაზღვრა როგორც რუსეთ-სერბეთის ისტორიულმა კავშირებმა, ასევე, რუსეთის საგარეო პოლიტიკურმა ინტერესებმა, რომელიც ნატოს გავლენის შეჩერებასა და ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატა. ამიტომაც, სერბეთის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი რუსეთი იყო, რომელმაც ნატოს ინტერვენცია, როგორც გაეროს მანდატის გარეშე განხორციელებული და სუვერენულ სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა - ღიად დაგმო. რუსეთი აქტიურად იყენებდა თავის პოზიციას გაეროს უშიშროების საბჭოში, რათა დაებლოკა გარკვეული რეზოლუციები. მიუხედავად ამისა, რუსეთიის აზრით, ნატო უშიშროების საბჭოს რეზოლუციების გარეშე მოქმედებდა. ამიტომაც მოხდა „პრისტინას აეროპორტის ინციდენტი",

როცა რუსმა სამხედროებმა კოსოვოში აეროპორტი დაიკავეს. ეს იყო მათი მხრიდან საკუთარი ძალის დემონსტრირების მაგალითი, რამაც ფრიად დაძაბა სიტუაცია. ბრიტანელი გენერალი უესლი კლარკი ნატოს ძალებით აეროპორტის აღებას ითხოვდა, თუმცა სხვა ლიდერებმა კონფლიქტის ესკალაცია თავიდან აიცილეს. სამაგიეროდ, წლების შემდეგ, როცა 2008 წელს კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რუსეთი მტკიცედ უარყოფდა და დღემდე უარყოფს მის აღიარებას. იგი **„პრეცედენტის არგუმენტით“** ოპერირებდა: თუ დასავლეთი აღიარებს კოსოვოს, რატომ არ შეიძლება რუსეთმა აფხაზეთი, ცხინვალი, ყირიმი აღიაროს?

დ. ტრენინის თვალსაზრისით, რუსეთის როლი კოსოვოს კონფლიქტში, შეიძლება შეფასდეს როგორც **გეოპოლიტიკური ბალანსის დამცავი ძალა,** რომელიც დასავლური ცალმხრივი პოლიტიკის წინააღმდეგი იყო (Trenin, 1999).

იუგოსლავიის დაშლა (Ramet, 2006) ამ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე დრამატული მოვლენაა, რომლის ანალიზი მრავალი ფაქტორის ახსნას მოითხოვს, ოღონდ არა ამ სტატიის ფორმატში.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის მნიშვნელოვანი როლი, მისი გავლენა მაინც შეზღუდული იყო - ცივი ომის შემდგომ ეტაპზე სუსტი გეოპოლიტიკური პოზიციის გამო. სამაგიეროდ, დასავლური ინტერვენციის მაგალითი საკუთარი ინტერესებში გამოიყენა, 2008 წელს საქართველოს ომის და 2014 წელს ყირიმის ანექსიის (Kuzio, 2002). დროს.

ზურაბ აბაშიძის თვალსაზრისით, „რუსეთისთვის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური დანაკარგი ის იყო, რომ უკრაინისა და მისი 50 მილიონიანი სლავური მოსახლეობის გარეშე, რუსეთი კარგავდა წონას სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ევროპაში“ (აბაშიძე, 2025:18)

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, პუტინმა და რუსეთის სხვა ლიდერებმა განაცხადეს, რომ თუ კოსოვოს შეუძლია დამოუკიდებლობის მოპოვება ცენტრალური ხელისუფლების ნების წინააღმდეგ, იგივე უფლება უნდა ჰქონდეს სამხრეთ ოსეთს, და აფხაზეთს. ამის შემდეგ, აგვისტოში ცხინვალში შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. საომარი მოქმედებების შემდეგ კი რუსეთმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. მან ფაქტობრივად გამოიყენა იგივე არგუმენტაცია, რაც დასავლეთმა კოსოვოს შემთხვევაში და ანალოგიური მოქმედებებით უპასუხა. დასავლურმა მედიამ კრიტიკულად შეაფასა რუსეთის ეს ქმედებები, რომელიც სხვადასხვა პრეცენდენტს საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა და საერთაშორისო სამართლის დაცვის მხრივ, გულწრფელი (Delcour, 2010: 29–43)არ ყოფილა.

სარეცენზიო წიგნის პირველი თავის ბოლოს, მკვლევარი ღრმა ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნას „რუსეთის ქცევის“ დინამიკაზე, ახმოვანებს: „საბჭოთა იდეოლოგიური სტანდარტების უარყოფის შემდეგ, რუსეთმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროპულ ინსტიტუტებში გაწევრიანების და დასავლეთთან თანამშრომლობის გაფართოების კუთხით. რუსეთი მზად იყო დასავლეთთან უფრო ღრმა ინტეგრაციისათვის. ოღონდ იმ პრინციპების დაცვით, რომ იგი შეინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას თავდაცვის,

უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებში“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც რუსეთზე განსაკუთრებულად იმოქმედა, „წინა პლანზე წამოწია „დიდი დერჟავის“ შესახებ ისტორიული მეხსიერებისა და ნაციონალიზმის ფენომენმა უარყოფილი კომუნისტური იდეოლოგიის სანაცვლოდ მოსკოვის გეოპოლიტიკური ამბიციები ახალი იერსახით გამოკვეთა (აბაშიძე, 2025:.27).

ზურაბ აბაშიძის წიგნის **მეორე თავი - „ვლადიმირ პუტინის რუსეთი“** ძალიან საინტერესო ისტორიულ პერიოდს განიხილავს.

როგორც ცნობილია, 2000-2012 წლები რუსეთისთვის გარდამტეხი ეპოქაა. ის საფუძვლიანად განსხვავდება 1990-იანი წლების „ლიბერალური“ და დასავლეთზე ფორმალურად ორიენტირებული ეტაპისაგან. ეს პუტინის პირველი და მეორე საპრეზიდენტო ვადების პერიოდს (2000-2008) მოიცავს, რომელსაც (Sakwa, 2008) დმიტრი მედვედევის პრეზიდენტობა (2008-2012) მოჰყვა, თუმცა ყველასთვის ნათელი იყო, რომ ძალაუფლება კვლავ პუტინთან რჩებოდა როგორც პრემიერ-მინისტრთან. რითია საინტერესო ეს პერიოდი?

„კრემლის ახალმა ბინადარმა მალევე დაამტკიცა რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია“ და მისი ყველა გადაწყვეტილებითა და ქმედებით, კარგად გამოჩნდა, რომ „წერტილი ესმებოდა 1990-იან წლებში მიმდინარე დისკუსიებს იმის თაობაზე, ამბობდა თუ არა რუსეთი უარს საბჭოთა წარსულზე“ - აღნიშნავს ზურაბ აბაშიძე (აბაშიძე, 2005: 29)

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში პუტინის უმთავრესი მიზანი სახელმწიფო კონტროლის განმტკიცება და 1990-იანი წლების „ანარქიის და სისუსტის“ დაძლევა იყო. მისი ხელმძღვანელობით შემდეგი ნაბიჯები გადაიდგა: 2004 წელს ცენტრმა რეგიონებზე კონტროლის გამკაცრება დაიწყო და გუბერნატორების პირდააპირი არჩევა გააუქმა. თავის პოლიტიკურ ძალაუფლებას სასამართლო სისტემა დაუქვემდებარა და დაიწყო ოპონენტებზე და დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლა (გუსინსკის, ბერეზოვსკის და სხვათა საქმეები). მათი მარგინალიზაცია (НТВ, Echo Moskvy, 2006); გააძლიერა პარტია „Единая Россия“, რომელიც მისი მხარდამჭერი იყო. განხორციელებული ქმედებების შეჯამებით, მივიღეთ „მართული დემოკრატიის“ ჩამოყალიბება, ფორმალურად - დემოკრატიული სტრუქტურებით, შინაარსობრივად - უკვე ავტორიტარულისკენ მიმავალი.

პუტინის პირველი საპრეზიდენტო ვადის პერიოდში, რუსეთში ეკონომიკური ზრდა დაიწყო, რომელსაც ნავთობის და გაზის მაღალი ფასები ხელს უწყობდა, რომელიც განსაკუთრებით აიწია 2000-2008 წლებში; ეკონომიკურმა სტაბილურობამ ინფლაცია შეამცირა; პუტინმა გააძლიერა მისთვის არასასურველ ოლიგარქების კონტროლი, როცა განაცხადა, რომ პოლიტიკაში ჩარევის შემთხვევაში, მათი ძალაუფლება შეიზღუდებოდა. ამას მოჰყვა კომპანია ЮКОС-ის მფლობელის - ხოდორკოვსკის დაპატიმრება. ე.ი. „ნავთობის ეკონომიკის“ ჩამოყალიბებით, პუტინმა გააძლიერა სახელმწიფო, მაგრამ დამოკიდებული დარჩა ექსპორტზე,მისი ხელისუფლება კი მორალურად კორუფციულ რეჟიმზე ნელ-ნელა შენდებოდა.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, უფრო მკვეთრად შეიმჩნევა დასავლეთთან დისტანცირება და მისი „რეგიონალური ამბიცია“.

2000 წლების დასაწყისში, რუსეთმა თავი უფრო პრაგმატულ და მოდერნიზაციის სურვილის ამპლუაში წარმოადგინა. მან, ასევე, აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, მხარი დაუჭირა ანტიტერორისტულ კამპანიას, რომლის ერთ-ერთ სამუშაო შეხვედრას მეც ვესწრებოდი ბაქოში.

მოგვიანებით კი დასავლეთთან ურთიერთობა მკვეთრად დაიძაბა, განსაკუთრებით: **პოსტსაბჭოთა სივრცეში „ფერადი რევოლუციების“** შემდეგ - 2003 წელს საქართველო, 2004 წელს უკრაინა, 2005 წელს კი ყირგიზეთი. კრემლმა ეს მოვლენები დასავლეთის როგორც „ინჟინერიგი“ ისე აღიქვა. მშვიდი თანაცხოვრება დაირღვა და დაიძაბა, ასევე, ნატოს გაფართოებით და სარაკეტო დაცვის სისტემების გაძლიერებით აღმოსავლეთ ევროპაში და ბოლოს, 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომით, როცა ცხადად გამოვლინდა პუტინის პოლიტიკური დოქტრინა: რუსეთი მზადაა, სამხედრო ძალა გავლენის ზონის შესანარჩუნებლად გამოიყენოს Lipman, McFaul, 2010: 1–4).

რუსეთი ცდილობდა საკუთარი „გეოპოლიტიკური სივრცის“კონტროლის და „მულტიპოლარული მსოფლიოს“ არქიტექტურის გაძლიერებას. ქვეყანაში „კონსერვატიულ-პატრიოტული იდეოლოგია“ ჩამოყალიბდა, რომელიც დასავლურ ლიბერალიზმს უპირისპირდებოდა. ამის ნათელი მაგალითები იყო, რომ: სახელმწიფომ განათლებაზე, მედიასა და კულტურაზე კონტროლი გააძლიერა; რუსეთის ეკლესიის როლი სიმბოლური გახდა და სამაგიეროდ, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი; ადამიანის უფლებების დამცველთა აქტივისტების სტიგმატიზაცია, არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოურ აგენტებად გამოცხადება. ყველა ამ ქმედებამ, დასავლეთის რუსეთთან პარტნიორობა შეაფერხა (Sakwa, 2008).

ავტორი დეტალურად აღწერს პუტინის ორივე საპრეზიდენტო ვადაში „რუსეთის ქცევის წესებს“, განსაკუთრებით, ნატოსთან ურთიერთობაში. ასევე, აშშ-ს ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული „გადატვირთვის“ პოლიტიკას, მაგრამ „არაბული გაზაფხულის“ დაწყებამ, დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ, 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებამ უკრაინასა და საქართველოსთან მიმართებით - პოლიტიკური ვექტორები შეცვალა. „რუსეთის ხელისუფლებაში ავტოკრატიული ელემენტების გაძლიერებამ უბიძგა მოსკოვს გლობალურად გადაეხედა თავის საგარეო პოლიტიკისათვის ცალკეულ რეგიონებში და ზოგადად მსოფლიოში რუსეთის პოზიციების განმტკიცების მიმართულებით“- ასკვნის ზ. აბაშიძე(აბაშიძე, 2025: 48).

წიგნის მესამე თავში „რუსეთი კვლავ ფეხზე დგება“, ავტორი განიხილავს 2012-2018 წლების რუსეთის ფედერაციის მდგომარეობას, როცა - რუსეთმა **ავტორიტარული კონსოლიდაციიდან, გეოპოლიტიკური ექსპანსიისა და ღირებულებითი კონფრონტაციის ფაზაში გადაინაცვლა.** ეს, ვლადიმერ პუტინის მესამე საპრეზიდენტო ვადა იყო, რომელმაც ამერიკელების კრიტიკული დამოკიდებულების გამძაფრება გამოიწვია პუტინის პოლიტიკისათვის გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერიოდია:

ყირიმის ანექსია, სირიის ომში ჩარევა, დასავლეთთან კონფლიქტების გაღრმავება, შიდა კონტროლის გაძლიერება.

როგორც ცნობილია, **2012-2018 წლები** რუსეთისთვის საინტერესო მოვლენებითდახუნძლულიაღმჩნდა.2012წელსმესამევადითპრეზიდენტად პუტინის დაბრუნებამ, როცა მედვედევმა თავისი „როტაციული“ როლი დაასრულა, საპროტესტო ტალღა გამოიწვია. მოსკოვსა და სხვა ქალაქებში ძლიერი მასობრივი აქციები იმართება, რომლებიც არჩევნების გაყალბების ბრალდებით, ოპოზიციისადმი მიმართული პოლიტიკით და პუტინის გადამეტებული ძალაუფლებით იყო გამოწვეული. გამოსვლების და ოპოზიციის მიმართებით, კრემლის პასუხი ასეთი იყო: უკანდახევის ნაცვლად, ოპოზიციის მარგინალიზაცია, რეპრესიები და სამართლებრივი დისკრიმინაცია (Stent, 2019).

გამკაცრებულ ვითარებაში, მედიის კონტროლი გაძლიერდა. განსაკუთრებით ეს, დამოუკიდებელ არხებს - Dozhd, Echo Moskvy შეეხო, რომლებიც ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდნენ. ამას მოყვა „უცხოელი აგენტების კანონი (2012), რომელიც იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხებოდა, რომლებიც უცხოურ დაფინანსებას იღებდნენ და მას პოლიტიკური საქმიანობისთვის გამოიყენებდნენ, „აგენტებად“ გამოცხადდნენ. ასევე, 2013 წელს ლიბერალური ღირებულებების წინააღმდეგ, როგორიცაა „ჰომოსექსუალობის პროპაგანდის აკრძალვა არასრულწლოვნებში“ საკანონმდებლო ინიციატივები გამოიხატა.

2012-2018 წლებში, რუსეთში ეკონომიკური ზრდა შენელდა, რაც 2014 წლის სანქციებმა და ნავთობის ფასების ვარდნამ გამოიწვია. ამან კი სოციალური უთანასწორობა გაზარდა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება პოპულარობის შენარჩუნებას ახერხებს - საბიუჯეტო სექტორის გაძლიერებით და პატრიოტული ნარატივებით. განსაკუთრებით გამოირჩევა ასეთი **სოციალური გზავნილი - თქვენ პოლიტიკაში არ ერევით, ამის სანაცვლოდ, ჩვენ სტაბილურობას გპირდებით.**

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ყირიმის ანექსიით გამწვავდა უკრაინასთან კონფლიქტი. დონბასში, აღმოსავლეთ უკრაინაში, სადაც რუსეთი სეპარატისტებს უჭერს მხარს, კონფლიქტი იწყება. რის გამოც, დასავლეთმა სანქციები გამოაცხადა როგორც ეკონომიკური, ისე დიპლომატიური. ამ დროს, პუტინის სტრატეგიული გზავნილი ასეთია: რუსეთმა საკუთარი მრავალეთნიკური მოსახლეობის დაცვასთან ერთად, უნდა გავლენის სივრცეც დაიცვას.

ასეთ პოლიტიკურ ფონს ისიც დაემატა, რომ ქვეყნის საერთაშორისო იზოლაცია ღრმავდება. რუსეთი პარალელურად, ჩინეთთან, ირანთან, თურქეთთან ცდილობს ურთიერთობების გაძლიერებას, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ფარგლებში. მას სურს გადავიდეს „მულტიპოლარული მსოფლიოს აშენების“ იდეის განხორციელებაზე.

2015 წელს, რუსეთი სირიაში, ბაშარ ალ ასადის დასაცავად საომარ ოპერაციას იწყებს, რითაც აჩვენებს: რუსეთის სამხედრო ძალის აღდგენას, ომის წარმოების როგორც ჰიბრიდულ, ისე კიბერ ახალ სტრატეგიებს და რაც გამოკვეთილია, უარყოფს - ამერიკულ ერთპოლუსიანობას და დასავლეთის

მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკას. ფართოდ იყენებს - დეზინფორმაციას, კიბერშეტევებს, პროპაგანდას და სოციალური ქსელების მიმართ გავლენის ოპერაციებს. აშშ და ევროკავშირი თავისი მხრიდან, რუსეთს 2016 წლის ამერიკის არჩევნებში (Trump vs. Clinton) ჩარევაში ადანაშაულებენ.

ყველაფერი ეს რომ შევაჯამოთ, სურათი ასე გამოიყურება: ავტორიტარიზმის გამყარება, პროტესტების მარგინალიზაცია, სანქციების და ეკონომიკის შიდა პრობლემების მიუხედავად, სტაბილურობის იმიტაცია; საგარეო პოლიტიკა აგრესიული და სტრატეგია გამომწვევია. დასავლეთთან დიპლომატია ჩავარდნას განიცდის, ამიტომ იზოლაციის თავიდან აცილების მიზნით, ალტერნატიული კოალიციების, ალიანსების ძიება ღრმავდება.

ზურაბ აბაშიძე მესამე თავში სკრუპულოზურად აღწერს ქვეყნის შიგნით მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს და განიხილავს მას დასავლეთთან ურთიერთობის კონტექსტში: ორი სუბიექტის მიმატება - ყირიმის და სევასტოპოლის, მინსკის შეთანხმება, რომელსაც „მინსკი2“ შეთანხმება მოჰყვა და რომელმაც „აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის შეჩერება ვერ შეძლო“(აბაშიძე, 2025: 61). უკრაინის კონფლიქტი, როგორც აღინიშნა, სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა ნაწილობრივ გადაფარეს. რუსეთი კვლავ „დიდ თამაშში ერთვება, როგორც თურქეთთან მიმართებაში მოხდა და ამ ისტორიის შენდეგ, „კრემლში შესაბამისი დასკვნები გამოიტანეს“ და მთავრობამ მთელი რიგი სტრუქუტურული ცვლილებები განახორციელა შეძლო (აბაშიძე, 2025: 63).

ახლა განვიხილოთ როგორია 2018-2021 წლების რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და როგორ აფასებს მას ზურაბ აბაშიძე წიგნის **მეოთხე თავში „ქარიშხლის მოლოდინში“.**

როგორც ცნობილია, ვლადიმერ პუტინის მეოთხე საპრეზიდენტო ვადა 2018 წელს დაიწყო. ამ პერიოდში, კიდევ უფრო გამკაცრდა რეჟიმი და გაიზარდა კონტროლი - მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. ისეთი საკანონმდებლო ინიციატივები იქნა მიღებული, რომლებიც დღემდე, ინტერნეტის და სოციალური ქსელების საქმიანობას აკონტროლებს. საყურადღებოა ისიც, რომ რუსეთში 2020 წელს, საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა, რომელმაც პუტინს საშუალება მისცა - პრეზიდენტის მანდატი შეინარჩუნოს 2036 წლამდე.

ეკონომიკურ გამოწვევებს თუ შევეხებით, როგორიცაა სანქციები, პანდემიით გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ყოველივე ამან მძიმე ზეწოლა მოახდინა რუსეთის ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება სოციალური პროგრამების გაძლიერებას ცდილობდა, სიღარიბის დონე და უთანასწორობა მაინც მაღალი რჩებოდა. კრემლი, ასევე, ებრძოდა სტაგნაციას და საინვესტიციო კლიმატის გაუარესებას.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რუსეთის სირიაში ინტერვენცია გაგრძელდა, რამაც მისი როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გაზარდა. რუსეთის ხელისუფლებამ გააძლიერა დასავლური ზეწოლის დაძლევის მცდელობები და ანტისანქციური პოლიტიკა.

ყველაფერი ამის ფონზე, დღითი-დღე **მწვავდებოდა დასავლეთთან ურთიერთობები.** ეს პოლიტიკური დაძაბულობა, მძაფრად, აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან ურთიერთობაში გამოიხატა. კერძოდ: დიპ-ლომატიური კრიზისები, მაგალითად, ჯაშუშობის ბრალდებები და დიპ-ლომატების გაძევება, გაგრძელებული სანქციები და სხვ.

კრემლმა გაამძაფრა ჰიბრიდული ომის სტრატეგიები: დეზინფორმაცია, პროპაგანდა, კიბერშეტევები. 2020 წელს მოწამლეს ალექსეი ნავალნი, რასაც დასავლეთის მხრიდან მკაცრი რეაქცია მოჰყვა. ამ წლების განმავლობაში, რუსული დიპლომატია აქტიურად იყენებდა „ჰიბრიდული დიპლომატიის“ ელემენტებს, რომელიც მხოლოდ ტრადიციულ მოლაპარაკებებს კი არ მოიცავდა, არამედ საინფორმაციო აქტივობებს. პარალელურად, ჩინეთთან, თურქეთთან, ირანთან, ინდოეთთან და აფრიკის ქვეყნებთან თანამშრომლობა გააფართოვა.

თუ ამ ყველაფერს შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ **საშინაო პოლიტიკაში** - ავტორიტარიზმის გაძლიერება, პოლიტიკური ოპონენტების დევნა, საკონსტიტუციო ცვლილებები გამოიკვეთა. ეკონომიკაში კი სანქციებმა, პანდემიის სტაგნაციამ ზრდა შეაჩერა. საგარეო პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი იყო - სირიაში და აზიაში ძალის გამოვლენა, დასავლეთთან დაძაბულობა და საპასუხო სანქციები. რაც შეეხება დიპლომატიას, რუსეთი „ჰიბრიდულ დიპლომატიას“ (Galeotti, 2017) იყენებს, პარტნიორობის გაფართოებას ცდილობს და სტრატეგიულ კონკურანციას აგებს.

ზურაბ აბაშიძე წიგნის მეოთხე თავში თავის ჩვეული და გამორჩეული აკადემიური ტონით, თხრობის გამჭვირვალობითა და ზოგჯერ იუ-მორისტული მიდგომებით, იმ პერიოდის მოვლენებზე არ ერიდება ღიად გამოხატოს პოზიცია. თავი პუტინის მეოთხე საპრეზიდენტო ვადის აღ-წერით იწყება. როცა 2018 წლის 18 მარტს პურინმა ამომრჩეველთა ხმის 77% მიიღო, მისმა ოპონენტებმა კი აღიარეს, რომ გამარჯვება რეალური იყო. ამჯერად, „როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის „ახალმა“ პრეზიდენტმა თავის პრიორიტეტად ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გაძლიერება დაისახა“ (აბაშიძე, 2025: 67).

სარეცენზიო წიგნის ავტორი ბოლო თავში რეალურად აჩვენებს, თანამედროვე რუსეთის დასავლეთთან ისტორიული ურთიერთობის დრამატულ ტრანსფორმაციას, რამაც ზურაბ აბაშიძის ახსნით, ნატოს აღმო-სავლეთით გაფართოებამ შეუწყო ხელი, რადგან რუსეთი ამ პროცესებს „იმთავითვე „წითელი ხაზის“გადაკვეთად აღიქვამდა» (აბაშიძე, 2025: 75).

„კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა მოსკოვისათვის საქარ-თველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა...აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ვერანაირად ვერ გააუმჯობესა ამ ორი ქვეყნის უსაფრ-თხოების ხარისხი, პირიქით, მან, გარკვეულწილად, პროვოცირება მოახდინა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიისა საქართველოს წინააღმდეგ“ (აბაშიძე, 2025: 75-76).

2022 წლის 17 თებერვალს რუსეთის საგარეო უწყებამ გამოაქვეყნა ტექსტი, უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებით, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული: არავითარი რუსული ინტერვენცია უკრაინაში არ არსებობს

და არც იგეგმებაო. რეალურად კი 24 თებერვლამდე - მხოლოდ 7 დღე იყო დარჩენილი.

ზურაბ აბაშიძის „რუსეთის ქცევის წყაროები (1992-2021)“ წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს როგორც სტუდენტების, ასევე საექსპერტო წრეებისათვის. მიუხედავად გარკვეული თეორიული კომპონენტების ნაკლებობისა, ის გამორჩეულია თავისი სიღრმით, ისტორიულ-პოლიტიკური ანალიზის სიმწვავით.

ეს ნაშრომი, უკვე, ქართული დიპლომატიური მემკვიდრეობის ნაწილია და უნდა იქნეს გამოყენებული როგორც სასწავლო რესურსი საგარეო პოლიტიკის, რეგიონული უსაფრთხოებისა და რუსეთის სტრატეგიული ქცევის ანალიზის კურსებში.

მინდა აღვნიშნო, რომ წიგნში, რომელიც მართალია, პატარა ფორმატისაა, ავტორი სკრუპულოზურად უდგება ფაქტების როგორც კონსტატაციას, ისე ღრმა ისტორიულ-პოლიტიკურ ანალიზს აკეთებს, რომელიც პირად გამოცდილებაზეა დაფუძნებული. წიგნში გამოყენებული ფაქტები, ანალიტიკა, მისაღებია და გასაგები მკითხველისთვის, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ცივ ომში არსებული პოლიტიკური და სტრატეგიული ელემენტები დღემდე მოქმედებს, უბრალოდ, მათი ფორმა შეიცვალა.

წიგნის სტრუქტურა სამი მიმართულებით განიხილება: **ისტორიული,** ცივი ომის პირობებზე და მისი შემდგომი პერიოდის გადახედვა, **ანალიზი** - რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებაზე და **ავტორის პირადი პრაქტიკული გამოცდილება.**

ზურაბ აბაშიძის მიზანი მხოლოდ ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური წარმოჩინება როდია, არამედ ის მათ წარმოგვიდგენს დღევანდელი გეოპოლიტიკური რეალობების კონტექსტში. მას მარტო ფაქტების განმარტება არ სურს, იგი თავშეკავებულად, პროფესიონალურად, მათი ქვეტექსტების გაშიფვრას ცდილობს, რაც წიგნს ინტერპრეტაციულ ხასიათსსაც ანიჭებს. წიგნის აკადემიური ტონი, ავტორის თხრობის გამჭვირვალობა და მოვლენებზე ღიად გამოხატული პოზიცია, წარმოდგენილი მასალის ღირებულებას მკვეთრად ზრდის.

P.S. 2025 წლის 4 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ზურაბ აბაშიძის წიგნის „რუსეთის ქცევის წყაროების (1992-2021)“ წარდგენა და განხილვა შედგა, რომლის მსმენელი პროფესიული საზოგადოება იყო, რაც კიდევ ერთხელ, დიპლომატიის სფეროში წიგნის მნიშვნელობას ადასტურებს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

აბაშიძე, ზ. (2021). *ცივი ომი*, გამომცემლობა „პალიტრა“ ISBN: 9789941328954, გვ.412. 2021

აბაშიძე, ზ. (2025. *რუსეთის ქცევის წყაროები (1992-2021)*: თბილისი. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ ISBN 978-99928-20-53-7

Allin, D. H., & Jones, A. (2012). *Weary Policeman: American Power in an Age of Austerity*. Routledge.

Caspersen, N. (2008). *Separatism and Democracy in the Caucasus. Survival,* 50(4), 113–136.

Delcour, L. (2010). The Russian response to the Kosovo independence: asserting geopolitical interest through soft balancing. European Security, 19(1), 29–43.

НТВ Echo Moskvy. Anna Politkovskaya-ს მკვლელობა. 2006.

Galeotti, M. (2019). We Need to Talk About Putin: How the West Gets Him Wrong. Ebury Publishing.

Galeotti, M. (2017). *Hybrid War or Gibridnaya Voina?* Getting Russia's non-linear military challenge right. Parameter, 45(4), 1–10.

Gaddis, J. L. (2005). The Cold War: A New History. New York: Penguin Press.

Judah, T. (2008). Kosovo: What Everyone Needs to Know. Oxford: Oxford University Press

Kuzio, T. (2002). *Russia, Ukraine, and the West: Historical and Contemporary Realities*. Praeger.

Lipman, M. (2016). *How Russia's elite exploits nationalism*. Journal of Democracy, 27(3), 46–59.

Lipman, M., & McFaul, M. (2010). *Russia's Political System: Imperial, Authoritarian, and Weak.* Democracy and Society, 7(2), 1–4.

Makarychev, A. (2009). *Russia and the EU in the Neighbourhood: A Battle of Perceptions*. European Political Economy Review, 9, 1–25.

Mankoff, J. (2009). Russian Foreign Policy: The Return of Great Power Politics. Rowman & Littlefield.

Sakwa, R. (2008). Russian Politics and Society (4th ed.). Routledge.

Ramet, S. P. (2006). The Three Yugoslavias: State-Building and Legitimation, 1918–2005. Indiana University Press.

Sakwa, R. (2015). *Frontline Ukraine: Crisis in the Borderlands.* I.B. Tauris.

Sakwa, R. (2008). *Putin: Russia's Choice* (2nd ed.). Routledge.

Stent, A. (2014). *The Limits of Partnership: U.S.-Russian Relations in the Twenty-First Century*. Princeton University Press.

Stent, A. (2019). *Putin's World: Russia Against the West and with the Rest.* Twelve.

Trenin, D. (1999). *Russia and the Kosovo Crisis: Redefining Moscow's Role in European Security*. Carnegie Moscow Center.

Trenin, D. (1999). *Russia and the Balkans: Balancer, Spoiler, or What?* Carnegie Moscow Center.

Trenin, D. (2011). *Post-Imperium: A Eurasian Story.* Carnegie Endowment for International Peace.

Trenin, D. (2020). *Russia's Strategic Identity: Between Continuity and Change.* Carnegie Endowment for International Peace.

Trenin, D. (2016). Should We Fear Russia? Polity Press.
ინტერნეტრესურსები
radiotavisupleba.ge+3nplg.gov.ge+3comcom.ge+3.
comcom.ge+6georgianencyclopedia.ge+6nplg.gov.ge+6.
radiotavisupleba.ge.
publika.ge+2geotimes.ge+2biblusi.ge+21tv.getabula.ge.
gfsis.org.ge+5biblusi.ge+5akti.ge+5.

Ketevan Akhobadze

"THE SOURCES OF RUSSIA'S CONDUCT (1992-2021)"

Review of Zurab Abashidze's Book

Abstract

Zurab Abashidze's book "The Sources of Russia's Conduct (1992-2021)": Tbilisi, 2025, 136 pp. Bilingual. Editors: Academicians of the Georgian National Academy of Sciences: Revaz Gachechiladze and Vazha Lortkipanidze, Reviewers: Irakli Menagarishvili, Ivliane Khaindrava, Vakhtang Maisaia (Doctor of Political Science), Georgian National Academy of Sciences, ISBN 978-99928-20-53-7 - is dedicated to modern Russian politics from the collapse of the Soviet Union to the beginning of the war with Ukraine in 2022.

In the book, which, although small in format, the author scrupulously approaches both the statement of facts and a deep historical and political analysis based on personal experience. The facts and analysis used in the book are acceptable and understandable to the reader, emphasizing that the political and strategic elements of the Cold War are still valid today, their form has simply changed.

The structure of the book is considered in three directions: historical, reviewing the conditions of the Cold War and its subsequent period, analysis - the strategic direction of Russia's foreign and domestic policy, and the author's personal practical experience.

Keywords: Zurab Abashidze,Vladimer Putin, Ukraine, Serbia, Kosowo, Russia, Georgia, Cold War.